მარიამ ბურდილაძე

# ევროპული რენესანსი

## ადამიანი ყველაფრის საზომია

სიტყვა „რენესანსი“ ლათინურიდან მომდინარეობს და ფრანგულად ახლიდან დაბადებას, აღორძინებას ნიშნავს. ეს ტერმინი გაიგივებულია ეპოქასთან(XIV-XVII სს.), რომელმაც შეცვალა ე.წ „ბნელი“ შუა საუკუნეები. რენესანსის დროს  მოხდა ანტიკური იდეოლოგიისა და ფასეულობების აღორძინება, გაღვივდა ინტერესი უშუალოდ ადამიანისა და მისი მოღვაწეობის მიმართ.

## რა ხდებოდა რენესანსამდე?

რენესანსამდე ადამიანები ცდილობდნენ ხორციელი სიამოვნებები დაეთმოთ და ეცხოვრათ მხოლოდ იმისთვის, რომ გარდაცვალების შემდეგ საუკუნო სასუფეველი დაემკვიდრებინათ. ამ მიზნის მისაღწევად იკლებდნენ  ფუფუნებას და ცხოვრებას  ღმერთს უძღვნიდნენ. აშკარაა, რომ რენესანსა და შუა საუკუნეებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, შესაბამისად, აუცილებელი იყო რაიმე წინაპირობა, რაც ადამიანებს ცვლილებისკენ უბიძგებდა. ჩემი აზრით, აღორძინების ხანისათვის ნიადაგი ორმა უმთავრესმა მოვლენამ შეამზადა.

- **შავი ჭირის გავრცელება ევროპაში**

 შავი ჭირი იყო მომაკვდინებელი დაავადება, რომელიც ევროპაში XIV საუკუნის 40-იან წლებში გავრცელდა და კონტინენტის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი შეიწირა. ამ მოვლენამ, უპირველეს ყოვლისა, შეასუსტა მოსახლეობის რწმენა რადგან ე.წ შუამავალნი ღმერთსა და ადამიანს შორის ესოდენ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს ვერაფერს შველოდნენ. ამავდროულად მათ, ვინც ცოცხალი დაეხსნა სნეულებას, გაახსენდათ ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბოება.

- **ჯვაროსნული ლაშქრობები**




ჯვაროსნული ლაშქრობები პაპის წამოწყება იყო, მის მიზანს წმინდა მიწის (იერუსალიმის) დაბრუნება წარმოადგენდა. სულ მოეწყო 9 ჯვაროსნული ლაშქრობა. ისინი დაიწყო 1096 წელს და დამთავრდა 1272 წელს. ქრისტიანები თითქმის 2 საუკუნე იბრძოდნენ პაპის ახირების დასაკმაყოფილებლად. იერუსალიმის დაბრუნება ხალხს არაფერს არ მოუტანდა. ამ ლაშქრობებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მოსახლეობას კიდევ ერთხელ უბიძგა ცვლილებისაკენ, თუმცა ამ ლაშქრობებმა  რეალურად დიდი წვლილი შეიტანეს რენესანსის განვითარებაში.

ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად იტალიასა და იერუსალიმს შორის კონტაქტი გახშირდა, რამაც ანტიკური ხანის უამრავი კულტურული ძეგლი კვლავ იტალიაში დააბრუნა. ამანაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო რენესანსის განვითარებას.

# სად და რატომ ჩაისახა რენესანსი?

რენესანსი იტალიაში ჩაისახა, რაც სულაც არ ყოფილა შემთხვევითობა, პირიქით, ეს ძალზე პროგნოზირებადი  მოვლენა გახლდათ . იტალიას გააჩნდა ის, რაც რენესანსს განვითარებისთვის სჭირდებოდა.

- **ქალაქების აღორძინება**

იტალიაში ქალაქების აღორძინება უფრო ადრე დაიწყო ვიდრე ევროპის სხვა ნაწილებში. რომის იმპერიის ნანგრევებზე ქალაქების აშენება ბევრად უფრო ადვილი გახლდათ, ვიდრე სხვაგან.

- **ანტიკური რომისა და საბერძნეთის ნაშთები**

ანტიკური ხანიდან შემორჩენილი ნაგებობები თუ სხვა ძეგლები იმ ხანისდამი ინტერესს აღვივებდა. ასევე უფრო ადვილი გახლდათ მათი კვლევა და შესწავლა

- **დაწინაურებული კლასი ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში**

XIV საუკუნეში ფლორენციაში გამოჩნდა დაწინაურებული გვარი - მედიჩი. მათ დააფინანსეს ანტიკური ნაწარმოებებისა და კულტურული ძეგლების კვლევა, რაც რენესანსისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

## რენესანსი

ეს ორი მინიატურა კარგად წარმოაჩენს შუა საუკუნეების ხელოვნებას. აშკარაა, რომ იმდროინდელი ხელოვნება ძირითადად რელიგიურ ხასიათს ატარებდა. იმავეს ვერ ვიტყვით რენესანსის დროის მხატვრებზე.



ეს რენესანსის პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის, სანდრო ბოტიჩელის, ნახატია. ჩანს, რომ ამ დროისთვის უკვე გაღვივებული იყო ინტერესი ძველბერძნული მითოლოგიის მიმართ. ნახატზე ვენერა (სიყვარულის ქალღმერთი) და მარსი (ომის ღმერთი) არიან გამოსახული. აშკარაა, რომ ამ ნახატზე მეტი ყურადღება ეთმობა ადამიანურ გრძნობებს: სიყვარულს, სისუსტეს და ა.შ.

აღორძინება მხოლოდ მხატვრობაში არ გამოხატულა, ერთ-ერთი უმთავრესი ცვლილება ბუნებასთან ხელახალი კავშირის დამყარება გახლდათ. ანტიკურ ხანაში ადამიანები ბუნების შეცნობას ცდილობდნენ, შუა საუკუნეებში ეს ინტერესი გაქრა და დაიკარგა ჰარმონიული კავშირი ადამიანსა და ბუნებას შორის. რენესანსმა ეს კავშირი კვლავ აღადგინა, ამ ხანაში მეცნიერებმა გაიაზრეს, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და ამიტომ გარემოს შესწავლა აუცილებელია. ამ ეპოქაში ორი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა:

- კოპერნიკმა (1473-1543) შექმნა სამყაროს ჰელიოცენტრული მოდელი[1]. ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი აღმოჩენა გახლდათ.
- ქრისტეფორე კოლუმბმა(1451-1506) და ფერნანდო მაგელანმა (1480-1521) დაამტკიცეს, რომ დედამიწა სფერულია.

## ადამიანი ყველაფრის საზომია

„ადამიანი ყველაფრის საზომია“ – ეს ფრაზა ანტიკური ხანის ფილოსოფოსს, პროტაგორას(ძვ.წ.აღ. 490-420 წ), ეკუთვნის. ეს წინადადება გახდა რენესანსის უმთავრესი მამოძრავებელი მოტივი. იგი გულისხმობს, რომ არა ღმერთი ან რამე ზებუნებრივი, არამედ ადამიანია ყველაფრის საზომი. ამ შეხედულების გავრცელების შედეგად ადამიანებმა გაიაზრეს ბუნების კვლევის აუცილებლობა, მიხვდნენ, რომ თუკი ისინი გარემოს კარგად შეისწავლიდნენ, თავად შეძლებდნენ მის მართვას.

1 ჰელიოცენტრულ მოდელზე მოსაზრებები უკვე ანტიკურ ხანაში არსებობდა (არისტოტელე), თუმცა მისი აღიარება რენესანსის დროს მოხდა.

გამოყენებული მასალა

- https://www.thoughtco.com/causes-of-the-renaissance-1221930
- https://www.thoughtco.com/causes-of-the-renaissance-1221930
- https://www.britannica.com/event/Renaissance
- ისტორიის სახელმძღვანელო მეთერთმეტეკლასელთათვის; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა , 2012 წ
- მხატვრობა მოსწავლეთათვის; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2004 წ
- მსოფლიოს ილუსტრირებული ისტორია- ადრეული შუა საუკუნეები; გამომცემლობა პალიტრაL, 2015წ
- https://www.pinterest.de/pin/462533824210293654/
- https://www.khanacademy.org/humanities/ap-art-history/early-europe-and-colonial-americas/medieval-europe-islamic-world/a/introduction-to-the-middle-ages
- http://www.ancient.eu/article/61/
- https://www.biography.com/people/christopher-columbus-9254209
- https://en.wikipedia.org/wiki/The_Annunciation,_with_Saint_Emidius
- http://facts.ge/renesansi-aghordzinebis-khana/



მარიამ ბურდილაძე

რუსთავის სკოლა „მილენიუმი“ XI კლასი